


საფეხურები

მიშელ ბიუტონი

2015-03-19



მიშელ ბიუტორი

© ditions Gallimard, 1960

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014

Originally published as DEGRÉS by Michel Butor

Copyright © Editions GALLIMARD, 1960

ყველა უფლება დაცულია

გამომცემლობა პალიტრა L

მისამართი: თბილისი, იოსებბოძის ქ. 49

ტელეფონი: 238-38-71

www.palitra.ge

ფრანგულიდან თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა

რედაქტორი ნუცა ღუმბაძე

კორექტორი მაგლა კვაჭანტირაძე

დობინერი ღამა გიორგაძე

ტექნიკური რედაქტორი დავით ორაგველიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

თარგმანი განხორციელდა საფრანგეთის წიგნის ეროვნული ცენტრის დახმარებით

მთარგმნელის წინასიტყვაობა მიშელ ბიუტორის რომანისთვის „საფეხურები“

«თითქმის მთელი ცხოვრება ერთი ნაწარმოებს ვწერ. რასაკვირველია, ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქმის რამდენჯერმე დავწერე ერთი და იგივე რამ, არამედ იმას, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ერთი დიდი ქმნილების თავებია. ასე მგონია, ერთგვარ «აღამიანურ კომედიას» ვქმნი, რომლისთვისაც სახელის დარქმევა ჯერ ვერ მომიხერხებია» (Marie Minssieux-Chamonard, «Michel Butor», 2006) – ეს სიტყვები ფრანგ მწერალს, მიშელ ბიუტორს ეკუთვნის – ასეულობით ნაწარმოების ავტორს, ახალი იდეებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ასპარეზის დაუღადავ მაძიებელს, რომელსაც თანაბრად იზიდავს პოეზია, პროზა, ესეისტიკა, სხვა ხელოვანებთან თანამშრომლობა და შემოქმედებითი ექსპერიმენტები.

მიშელ მარი ფრანსუა ბიუტორი 1926 წელს საფრანგეთის ჩრდილოეთში, ქალაქ დილის ახლოს, მონ-ან-ბარელში დაიბადა. რვაშვილიანი ოჯახის მეოთხე ბავშვი იყო. მამამისმა საფრანგეთის სარკინიგზო კომპანიაში დაიწყო მუშაობა მას შემდეგ, რაც სამართალი შეისწავლა, ხოლო თავისუფალ დროს ხატვას უთმობდა. მიშელი შვიდი წლის იყო, როდესაც ღედამისი ანეტი სრულიად დაყრუვდა. შესაძლოა ამ მოვლენამ მოახდინა გავლენა იმ ფაქტზე, რომ ბავშვს ბგერისა და მუსიკისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობა ჩამოუყალიბდა. ოჯახის წევრებიდან მასზე წარუშლელი კვადრი დატოვა ბებიამ, მარი ბრაჟემი, რომელმაც მიშელის მამის სამუშაოდ პარიზში გადასვლის შემდეგ ოჯახი შეიჭარა. მიშელი ბებიასთან სამი წლიდან იზრდებოდა და სწორედ მისგან გამოჰყვა წიგნების სიყვარული. მისთვის დაუვიწყარი გახდა ვიდეტრეტში, ბებიის სახლში წლიდან წლამდე გატარებული ზაფხულის არდადეგების შესახებ მოგონება და უმარშამარი ბიბლიოთეკის თაროების ნება-ნება თვალიერება და გაცნობა.

«ომამდე და ომის დროს ჩემს ექვს და-ძმასთან და ექვს ბიძაშვილთან ერთად ფრანგულ სოფელ ვექსენში მივდიოდით, სადაც ჩვენს ბებიას სახლი, უფრო სწორად, ორი სახლი

ჰქონდა; ქუჩის გადაღმა მდებარე მეორე სახლის ერთ ოთახში უზარმაზარი, საეკლესიო სამოსისა და ჭურჭლის შესანახი ავეჯი იდგა – წიგნებით სავსე. ბიბლიოთეკა მთავარ სახეშიც იყო, მაგრამ იქ უფროსების ან ბავშვებისთვის განკუთვნილ «წაკითხვად» წიგნებს ვეცნობოდით; მეორე სახეში კი ინახებოდა ძველი, «არაწასაკითხი» წიგნები, ზოგიერთი ძალიან დამაზი, მონტესკიესა და რუსოს ძველი გამოცემები. წერიწადში ერთხელ ამ ბიბლიოთეკას ვაღაგებდით. დიდ წინსაფრებს ვიკეთებდით და ჩვრებით შეიარაღებულებს, თაროებიდან გადმოგვქონდა წიგნები და სხვადასხვა საგანი («გამოუყენებელი» საგნები, ისეთი, როგორიც «არაწასაკითხადი» წიგნებია, მაგრამ ეს საგნები გვხიბდავდა: ზვიგენის ყბა, სასამართლოს აღმასრულებლის ეპოლეტები, სამკურნალო მცენარეების შემგროვებლის ყუთები, ძველი ნამცხვრის საცხობი ფორმები, ძალიან სქელი მინისგან დამზადებული ძველებური რეტორტები...), თაროებზე გაზეთების ახალ ფურცლებს ვშრიდით, ყველაფერს მტვერს ვაციდით და ვასუფთავებდით. ეს იყო არაჩვეულებრივი წუთები – მტვერის კორიანტეის, ფურცლების შრიადის, ნაცხობი გვერდების გადაკითხვის» (ნაწყვეტი მწერლის ძირითადად ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან «Portrait de l'artiste en jeune singe. Capriccio», გამომცემლობა Gallimard, 1985, გვ. 27).

საშუალო სკოლა (კოლეჟი და ლიცეუმი) ბიუტორმა პარიზში დაამთავრა და ფილოსოფიის მასწავლებლის, არმან კიუვიდიეს გავლენით, სორბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. იმავდროულად, საფრანგეთის კოლეჟში გამართულ საჯარო დეჟცეებს ესწრებოდა. სტუდენტობისას მისი მენტორები გასტონ ბაშარი და ჟან ვადი (ბიუტორი ამ უკანასკნელის მდივნად მუშაობდა) იყვნენ. იმავე პერიოდში ახადგაზრდა ბიუტორი სიურრეალიზმით დაინტერესდა, გაიცნო და დაუახლოვდა ანდრე ბრეტონს, სიურრეალისტ მხატვრებს, ანრი მიშოს. პირველი ნაწარმოები, რომელიც 1945 წელს ბიუტორმა გამოაქვეყნა, იყო მხატვარ მაქს ერნსტისადმი მიძღვნილი დეჟსი, ხოლო 3 წლის შემდეგ ამას მოჰყვა სტატია ჯეიმზ ჯოისის შემოქმედების შესახებ.

სორბონის დამთავრების შემდეგ სანსის მადარმეს სახელობის ლიცეუმში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა, ხოლო 1950 წელს ფრანგული ენის მასწავლებლად ეგვიპტეში გაემგზავრა. მას შემდეგ მოგზაურობა არ შეუწყვეტია. სწორედ ეგვიპტეში დაიწყო ბიუტორმა თავისი პირველი რომანის («Passage de Milan») წერა. ერთი წლის შემდეგ მანჩესტერში გაემგზავრა, 1954 წელს სალონიკის ფრანგულ ლიცეუმში ასწავლიდა, ხოლო 1955-1956 წლებიდან – ჟენევის საერთაშორისო სკოლაში. მრავალრიცხოვანი მოგზაურობა და ახალი ადგილების აღმოჩენა ხელს არ უშლიდა შემოქმედებით მუშაობას – ბიუტორი ამ პერიოდში უამრავ ესეისტურ სტატიას წერს, რომლებიც გაერთიანდა კრებულებში, სახელწოდებით Rpertoires (Répertoires I, Rpertoires II, Rper-toires III, Rpertoires IV, Rpertoires V, 1960-1982). მწერადი აღნიშნავდა: «როგორც ჩანს, ბევრი ვიმოგზაურე; რასაკვირველია, იმდენი არა, რამდენსაც ვისურვებდი... ვმოგზაურობ იმიტომ, რომ ვწერო... იმიტომ რომ, ჩემთვის მოგზაურობა, ყოველ შემთხვევაში, მოგზაურობა ამა თუ იმ სახით, ნიშნავს ვწერო (და პირველ რიგში, ვიკითხო), ხოლო წერა – იგივე მოგზაურობაა» (მიშედ ბიუტორი, «Le voyage et l'écriture», Rpertoires IV, ditions de Minuit, 1974, გვ. 9-10).

გარდა ამისა, ბიუტორი სხვა მწერლებისა და ხელოვანების შემოქმედებას სწავლობდა. მისი სტატიები ეხება ჯეიმზ ჯოისს, ეზრა პაუნდს, მარსელ პრუსტს, რაიმონ რასელს,

ჟიურ ვერნს და მრავად სხვას. ევროპაში მოგზაურობის კვალდაკვად ახად-ახადი აღგვიდების შესახებ ისე წერს, თითქოს საფლსტო ბარათებს ავსებდეს და ამგვარი ნაწერი გახდა პირველი ნაწილი მისი ნაწარმოებისა «Gnie du lieu».

1956 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა «L'Emploi du temps» მწერალს ფენეონის პრემია^[1] მოუტანა, ხოლო 1957 წელს რომანი «La Modification» რენოლს პრემიით^[2] აღნიშნეს. რომანების წარმატების წყალობით ბიუტორმა თანდათან უარი თქვა მასწავლებლობაზე და მხოლოდ თემატურ რეჟისორსა და კონფერენციებს მართავდა საზღვარგარეთ, ძირითადად აშშ-ში, სადაც 1960 წლიდან მოყოლებული, სამჯერ იმოგზაურა. მისთვის ამერიკაში პირველი ჩასვლა ნამდვილი ემოციური და შემოქმედებითი შოკი გახლდათ და ეს მოგზაურობა წარსული საუკუნეების ფრანგი ინტელექტუალების საგანმანათლებლო მიზნებით XVI საუკუნეში იტალიაში, ხოლო XVIII-XIX საუკუნეებში აღმოსავლეთში მოგზაურობას შეიძლება შევადაროთ.

1960 წელს ბიუტორმა თავისი მეოთხე და უკანასკნელი რომანი გამოაქვეყნა – «Dgres» – რომლის ქართულ თარგმანსაც მკითხველი გაეცნობა. ეს ნაწარმოები ექსპერიმენტია. რეალურად არსებული მსოფლიოს ევროპული აღქმის ფარგლებს რომ გასცდეს, იმავდროულად რომანის მანამდე არსებული ფორმები და საზღვრებიც უნდა დატოვო – სწორედ მის მცდელობას წარმოადგენს აღნიშნული ნაწარმოები. ბიუტორის ოთხივე რომანს ახასიათებს მსგავსება მუსიკალურ ნაწარმოებებთან – მათში ჩანს პოლიფონიურობა, ფუგების ჰარმონიული წყობის შესაბამისი რიტმობრუნული კონსტრუქცია, მკითხველს ხვდება რეფრენები, დაიტოვებები, კადენციები. ამ მხრივ გამონაკლისი არც «საფეხურები» – სამი პერსონაჟი (მწერალი მკითხველს იმის თავისუფლებასაც უტოვებს, რომ ნაწარმოების სამივე ნაწილის ავტორად ერთი ადამიანი მიიჩნიოს) თავისი მონათხრობით ახად-ახადი ნიუანსებით ავსებს მოსაყვად ამბავს, მათი ხმები ხან უნისონში ჟღერს, ხან ვარიაციების სახით. თავად მწერალი აღნიშნული რომანის შესახებ წერდა:

«ამ რომანით მსურდა პირველ რიგში ჩემი, როგორც მასწავლებლის გამოცდილებაზე მესაუბრა: მთელი წიგნი მეორე კდასში^[3] ჩატარებული ერთი გაკვეთილის გარშემო ტრიალებს. 1954 წლის 12 ოქტომბერს, სასწავლო წლის მეორე კვირას, სამშაბათ ღღეს მასწავლებელი ამერიკისკენ ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობის შესახებ ყვება. ამ გაკვეთილს სხვები ებმის, წინა და მომდევნო გაკვეთილები; წარმოიქმნება რეზონანსი, მთელი ქსელი იწყება. ამას ერთვის ქორო იმ ნაწარმოებების სახით, რომლებსაც ჩემი გმირი, მასწავლებელი კითხულობს – მარკო პოლოსა და მონტენის. თითოეულ ამ ავტორს თავისებური სტილისტური ელფერი შეაქვს მონათხრობში.

მაგრამ ისე, როგორც რომანში «La Modification», ღღის წესრიგში სივრცისა და დროის საკითხი ღგას. საათობრივი ბადის წყალობით იმის გაგება შეიძლება, თუ სად იყო მოცემულ მომენტში ესა თუ ის პიროვნება, მაგრამ ისიც ცნობილია, რას ამბობდა, რას ფიქრობდა, ვისთან ერთად იყო... მასწავლებლის ღღის განრიგის მიღვენიტ უადრესად მდიდარი ინფორმაციის მატარებელი ქსელი წარმოიქმნება... ვერტიკალურ სიბრტყეზე თავად გავაკეთე ასეთი სივრცითი სქემა ერთმანეთზე დადებული ფურცლების მეშვეობით. ეს მართლაც სარისკო წამოწყება გახლდათ!... რომანი სამი ნაწილისგან შედგება, თითოეულში შვილი თავია და ისინი ერთმანეთს ეხმიანება» (Andr Clavel, «Curriculum Vitae», გამომცემლობა Plon, 1996, გვ. 116 და 119).

«ჩემი წინა წიგნების მსგავსად, «საფეხურები» ცოტათი ხაფანგს ჰგავს: სირთულეები